ხელშეკრულება № 22

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქობულეთი 1 აპრილი 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, *ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების* მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" (მე-3 თავის 26-ე მუხლისა და მე-5 თავის 28 მუხლის) დებულების შესაბამისად.

ერთის მხრივ *ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება* მისი დირექტორის *ლამარა ქათამაძის* სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ *ი/მ „თამაზ მურვანიძე"* შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ ხელშეკრულებას ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების გეგმიურ ხარჯთაღრიცხვაში გაწერილი "კვების პროდუქტების" მუხლით გათვალისწინებულ შესყიდვაზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს "კვების პროდუქტები", შემდგომში „საქონელი", ხოლო "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით . საბიუჯეტო სახსრებით.

1.2 მიღიანი ხელშეკრულებო თანხა შეადგენს: 12183 (თორმეტიათასასოთხმოცდასამი) ლარს.

1.3 შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება—ჩაბარება

2.1 "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას ადგილზე მიტანით . საბავშვო ბაღების გაერთიანების პასუხისმგებელ პირთან ერთად.

2.2. "საქონელი"ს მიღება-ჩაბარება ხორციელდება " მიმწოდებელსა" და საბავშვო ბაღების გაერთიანების პასუხისმგებელ პირს შორის., მას შემდეგ რიცა მოხდება გაერთიანებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღის "საქონელით' მომარაგება.

## 3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის"-ს საბანკო რეკვიზიტებზე.

## 4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

4.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

4.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს • საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

## 5. სადაო საკითხების გადაწყვეტა

5.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

5.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 6. გამოყენებული სამართალი

6.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და /ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს 2011 წლის 1 მაისამდე.

## 9. გადასახადები და ბაჟები

9.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება | ი/მ „თამაზ მურვანიძე" მის: ქ.ქობულეთი, ლესელიძის № 9 |
| მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის № 141 | ს/კ 61004040729 |
| ს/კ 446951790 | სს „ საქართველოს ბანკი"-ს ქობულეთის განყოფილება |
| სს „ლიბერთი ბანკი'-ს ქობულეთის ფილიალი | ა/ნ 116644004 |
| ა/ა GE64LB0115172300800000 | ბ/კ BAGAGE22 |
| ბ/კ LBRTGE22 | |
| დირექტორი ლ.ქათამაძე | ი/მ „ თამაზ მურვანიძე " |

დანართი **№ 3**

| № | დასახელება | ზ.ე | რ-ბა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კარაქი | კგ | 317 | 6,5 | 2060,5 |
| 2 | კარტოფილი | | 2117 | 1,5 | 3175,5 |
| 3 | ხორცი | კგ | 627 | 10 | 6270 |
| 4 | სტაფილო | | 278 | 1,8 | 500,4 |
| 5 | ჭარხალი | | 98 | 1,8 | 176,4 |
| | ს უ ლ | | | | 12182,80 |

ი/მ " თამაზ მურვანიძე " ..................

TAMAZ MURVANIDZE 61004040729